იეჰოვას მოწმეთა
ქრისტიანული კრება საქართველოში
THE CHRISTIAN CONGREGATION OF JEHOVAH'S WITNESSES IN GEORGIA
თბილისი, 0163, ბრილების ქუჩა №8 ტელ./Tel. (+995 32) 276-23-59 Brilebi Street, №8, Tbilisi, 0163

13 ნოემბერი, 2024 წელი №51/24

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობა ეძლევა **დავით შაქარაშვილს** (პირადი ნომერი: 01011084229) (შემდგომში „რწმუნებული“) მასზედ, რომ მას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იყოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“**-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406134678) (შემდგომში „მარწმუნებელი“) წარმომადგენელი და „მარწმუნებელის“ სახელით, შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით — მდებარე: ქ. თბილისი, ანდრო ჟორდანიას ქუჩა N1 (ს/კ 01.18.13.011.005) (შემდგომში „უძრავი ქონება“), შეათანხმოს შენობის რეკონსტრუქციის, ფასადისა და სახურავის პროექტი, ესკიზი, განახორციელოს ცვლილებები სამშენებლო დოკუმენტებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვა ან/და ნებისმიერი სხვა სახის ნებართვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის არქიტექტურის სამსახურში ან/და ნებისმიერ სხვა სამსახურსა თუ ორგანოში.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ ნებისმიერ სამსახურში ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში და მესამე პირებთან, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის სხვა ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის არქიტექტურის სამსახურთან და „მარწმუნებლის“ სახელით შეიტანოს განცხადება, მათ შორის ელექტრონული ფორმით ატვირთოს განცხადება, პროექტი, ესკიზი თუ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია „უძრავ ქონებასთან“ დაკავშირებით, განახორციელოს საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, წარადგინოს ზეპირი ან/და წერილობითი მოთხოვნები და პოზიციები, გადაიხადოს შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადები, მიიღოს პასუხი, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას, გადაიღოს ასლები და წარადგინოს მათზე შენიშვნები, განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც მისთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად იქნება საჭირო.

„რწმუნებული“ ასევე უფლებამოსილია, „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც შესაძლოა პირდაპირ არ არის მინდობილობაში მითითებული, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ადმინისტრაციის თავმჯდომარე: /თამაზ ხუციშვილი/

ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე: /ირაკლი მალაშხია/

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/145010-16 18. 05. 2011წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ჟორდანიას ქ. №32-ში (ნაკვ. №11/005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საზოგადოებრივი კლუბი) ვარგისად აღიარების შესახებ.

დამკვეთი – მოქ.-ები ალექსანდრე ძიმცეიშვილი, ელგუჯა სიმონიშვილი და დიმიტრი გაგნიძე.
პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №01/277 09.02.2010წ.
ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს ბრძანება – №2557 11.06.2010წ.
მშენებლობის სანებართვო მოწმობა – №6/283-1 09.02.2010წ.

II კლასი – (შენობა რისკის დაბალი ფაქტორით)
მიწის ნაკვეთის ფართი: – 626.00 მ^2
მოშენების ფართი: – 152.94 მ^2
შენობის საერთო ფართი: – 135.40 მ^2
მათ შორის:
საზოგადოებრივი ფართი: – 109.85 მ^2
დამხმარე ფართი: – 25.55 მ^2
სამშენებლო მოცულობა: – 656.48 მ^3

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, საქ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 20.06.06წ. №115 დადგენილების მე-2 მუხლის, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მ. 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) აღიარებულ იქნას ვარგისად (მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში) ქ. თბილისში, ჟორდანიას ქ. №32-ში (ნაკვ. №11/005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (საზოგადოებრივი კლუბი).

2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შატავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/145010-16 26.04.2011წ. განცხადება.
№წ-12/145010-16 28.04.2011წ. სამსახურის უფროსის ბრძანება.

უფროსის პირველი მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**